

DOI: 10.54635/tpks.2022.40putk

**გაორებაული კაცის ტრაგედია –
მითი თუ სინამდვილე
TRAGEDY OF HUMAN DUALITY –
MYTH OR REALITY?**

მარიამ სულხანიშვილი
დუზჯეს უნივერსიტეტი
დუზჯე, თურქეთი

Mariam Sulkhanishvili
Düzce University
Düzce, Turkey

ABSTRACT

Georgian literature is prophetic at its core, in the sense that it creates and represents mythological thought in its entirety. As for mythological thought, it dates back to times immemorial. Our writers perceive this mystery in a specific way, reviving literary characters. Mindia, the snake-eater is particularly valuable for us as an everliving perception of mythos in Georgian reality. We believe, Mindia as a superhuman, manifests the character as well as nature of a Georgian man in the best way. The reality and the extreme environment, however, obligate him to take a step towards a moral compromise. Life's brutality mostly engulfs those who are like Mindia. A Georgian man is constantly facing a choice. The earthly life offers him ephemeral values, while the path to the divine instructs him to make effort, and fight. Self-sacrifice for the sake of a sublime idea is always tragic. A man with dualistic thinking suffers a tragedy. Self-sacrifice for the sake of one's motherland leads to a tragedy. Ethics and morality represent the credo for a Georgian man, however, if his moral judgment is impaired, his life becomes a disgrace just like Teimuraz Khevestavi, the character in Mikheil Javakhishvili's novel.

The proposed article focuses on an important issue whether Lukhumi will be fortunate to ascend Lashari Gori. This paper is dedicated to the memory of the late Professor Tariel Putkaradze, a great Georgian man and accomplished scholar who had devoted his life to the service of the country. Georgian mentality suffered indeed an irretrievable loss due to the death of Tariel Putkaradze, the man who was inspired by the spirituality of Mindia as well as his feelings. He was a fervent defender of the spirit of Georgia in the political and public arena.

საკვანძო სიტყვები: ქართული მწერლობა, ქართული მითოსი, მითოლოგიური აზროვნება.

Keywords: Georgian literature, Georgian mythos, mythical thinking.

ქართული მხატვრული ლიტერატურის კვლევისას ზოგადად შეინიშნება ერთი უმთავრესი ტენდენცია, რომელიც გახლავთ ნიშანდობლივი მახასიათებელი ამ კულტურისათვის. ეს ტენდენცია ვლინდება მსხვერპლისუნარიანობის უნივერსალური განცდით, რომლითაც ნასაზრდოებია ქართული ეროვნული მწერლობა: უნივერსალური იდეალი სამშობლოს სიყვარულისა, ღმერთის სიყვარულისა, ქალ-ვაჟის ამადლებული ტრფობა და ასე შემდეგ. ყველა შემთხვევაში იდეა გახლავთ სანუკვარი, სათაყვანებელი ლიტერატურული პერსონაჟებისათვის, ხოლო დამოკიდებულება იდეისადმი – მეტად საკრალური და ერთობ საინტერესო, რადგან სწორედ ამგვარ მომენტებსა და ნიუანსებში ვლინდება ერის ხასიათი, მისი ტემპერამენტის რაგვარობა და, შესაბამისად, რასაკვირველია, კონკრეტული მწერლისა თუ ზოგადად მწერლობის ერთიანობაში მოცემული მსოფლმხედველობრივი კრედო. მხატვრულ შემოქმედებით პროცესში მსგავსი ტენდენციის გამოვლინება თამამად იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ ქართული ლიტერატურა წარმოადგენს მითოლოგიური აზროვნების ერთგვარ გაგრძელებასა და მეტამორფოზას, რომელსაც ფესვები უხსოვარ დროში აქვს განფენილი; იმ უძველესი მითიური აზროვნების გაგრძელებას, სადაც იდილიზებული გმირები ღმერთებად გვევლინებიან და რომელთა ინტერპრეტაციაც ინდივიდუალური შემოქმედებების ფონზე გვთავაზობს ინიციაციის გზების მრავალფეროვან ასპექტებს, რომლის ერთიანი ცოდნაც კაცობრიობას უხსოვარ დროში გააჩნდა და წარმოადგენდა სულიერი ცხოვრებისა და სულიერი განათლების მონაპოვარს. ამ პრინციპების უშუალო გზნებამ და მასზე დაკვირვებამ ათქმევინა მისტიკოს მწერალს, გრიგოლ რობაქიძეს: „ქართული გენია ძლიერია მითიურ ხილვაში“. აქ იგულისხმება ქართული აზროვნების სათავეც – ქართველი, როგორც უძველეს მისტერიათა მქმნელი ხელოვანი პირველად მხატვრულ წარმოსახვებში და, რასაკვირველია, იგულისხმება თანამედროვეთა მიერ ამ წარსულის ორგანული გრძნობა და ხელახალი გაცოცხლება პერსონალურად, სწორედ ის, რასაც თავადაც განიცდიდა ქართველი მწერალი.

დიახ, მითოსიდან მომდინარე ინიციაციის დოქტრინებია ქართულ მწერლობაში შენივთული და ტრადიციად აღორძინებული. ეს გახლავთ ქართული მწერლობის რაობის ჭეშმარიტი გაგება. ამას გვთავაზობს ქართული მხატვრული ლიტერატურა – პოეზია თუ პროზა. მისტიური ყოფის საკრალიზაცია ვლინდება ჩვენს ეროვნულ ლიტერატურაში როგორც თემატურად, ასევე თვითგანცდით უშუალოდ შემოქმედთაგან. ქართველი პოეტები და მხატვრული სიტყვის კალმოსნები ამ საიდუმლოს მფლობელნი არიან და მასვე უზიარებენ მკითხველსაც. „მე ჩემი ხელოვნება სიცოცხლეზე მეტად შემყვარებია, ჩემო, ამიტომაც განწირული მაქვს თავი...“ – ეს მხოლოდ რომანის თემა არ გახლავთ კონსტანტინე გამსახურდიასთან. იგი მწერლის შეუცვლელი პრინციპია ცხოვრებაში.

ამრიგად, ზემოთ ნახსენები ტენდენცია ქართულ მწერლობას უწყვეტ ნაკადად გასდევს მხატვრულ აზროვნებაში, ხოლო რეალურ ცხოვრებაში ქართველი მწერლები ამ საიდუმლოს მფლობელი ადეპტები არიან, ინიციანტები არიან და ყოველივე ამის ინსპირაციას ახდენს

საქართველო. დიახ, საქართველო, როგორც იდეა, სახე – გრიგოლ რობაქიძისეული სიტყვებით – გახლავთ ის ინსპირატორი, რომლის სააუკუნეებში გაჯერებული ტკივილიანი რეალობა ქმნის და აყალიბებს ამგვარ შთაგონებებს. ქართველი მწერლები ერისკაცები არიან უპრველესად და ჩვენი ყოფა-ცხოვრების ექსტრემალური გარემო მუდმივად კვებავს მათ სულიერ ფანტაზიებს ამ მიმართულებით. ქართულ მხატვრულ წარმოსახვებში იქმნებიან ზნეობრივი იდეალებისათვის შეწირული გმირები. ამდენად, ქართულ რეალობაში ჩვენი მწერლობა მითოსიცაა და სინამდვილაც – უფრო ზუსტად, მითოსად ქცეული სინამდვილე. ამგვარია ქართული მწერლობის ძირითადი არსი, ჩვენი გაგებით, თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმ განსაკუთრებულ მწერლებს, რომლებიც ერის კრიტიკული არსებობისას ჩვენი ყოფა-ცხოვრებისათვის მახასიათებელ მხარეებს რეალურად ანალიზებდნენ და ნაკლოვანებები მწერლური ოსტატობით ყველას დასანახად გარეთ გამოჰქონდათ. ესეც გახლდათ ქართული მწერლობის ერთგავრი ცალსახად გამოვლენილი ხასიათი – მწერლობა ვითარცა დიდაქტიკა და მათრახი, რომელიც მწარე გულისტკივილით იყო განპირობებული. იგი ერთგვარი ტაქტიკა იყო ქართველ შემოქმედთაგან. რეზულტატი, რა თქმა უნდა, ერის გამოჯანსაღება გახლდათ. ამგვარ „მათრახსა“ და სკეპტიციზმით გაჯერებულ აზროვნებას თუ გვერდს ავუვლით, ქართული მწერლობა ერთიანობაში წარმოდგება როგორც მითოპოეტური აზროვნება, სადაც მწერლის ინდივიუალიზაცია ეფუძნება პიროვნების მამულიშვილურ გაგებას და ქართველი მწერალი იკავებს სამსხვერპლო ადგილს მის გადასარჩენად. ასეთია ქართული ეროვნული მითის რეალობაც და სინამდვილაც.

თემიდან გამომდინარე, მინდა გავიხსენო ქართული ფოლკლორის ერთ-ერთი გმირი ხოგაის მინდი. ამ საინტერესო და ბევრის მოქმელმა პერსონაჟმა არ დატოვა საქართველოს არც ერთი კუთხე-კუნჭული, ყველა კუთხის მცხოვრებნი რომ არ დაეფიქრებინა საკუთარ თავზე. ის უყვარდათ, აღმერთებდნენ, მინდიაობდნენ და ოცნებობდნენ ქართველნი. მნიშვნელოვანია, რომ საუკუნეების სიღრმეში წარმოშობილი ლეგენდა მოიცავს არა მხოლოდ ქართველი ხალხის სააზროვნო ძალას და ინტერესის საგანს, არამედ ის ქართველი კლასიკოსების სულიერი საზრდოა. ვაჟა-ფშაველას, გრიგოლ რობაქიძისა და კონსტანტინე გამსახურდიას მხატვრულ ფანტაზიებში მარად ცოცხალი და გზნებულია ხოგაის მინდის ხატი. ვაჟა-ფშაველა ხომ თავადაა მინდია, რომლის სული მიწიერ მარწუხებში მთელი ცხოვრება იტანჯებოდა. რა თქმა უნდა, უხსოვარ დროში წარმოშობილი ეს მეტად უცნაური პერსონაჟი ქართველ კლასიკოსთა მხრიდან ინდივიდუალურადაა გააზრებული და თვითაღქმული, მაგრამ ძირითადი არსით ყველას გმირი ერთი შინაარსითაა მოცემული – მინდია ზეკაცია ანუ ზეადმატებული ადამიანია. მინდიას ტრანსცენდენტალიზმით გაჯერებული ცნობიერება, რომელსაც დაუნჯებული აქვს დროისა და სივრცის კატეგორიები, დაათმობინებს ამქვეყნიურ ყოფა-ცხოვრებას. მინდია ჯადოსნური ძალით გადასულია სულიერ სამყაროში და მთლიანად იქ ცხოვრობს. იგი ქაჯების ტყვედ ქმნილა ერთ დროს. თვითმკვლელობა მისი იარაღია ტყვეობიდან თავის დასახსნელად. გასაოცარია, რომ სწორედ

ამის შემდგომ მან მიიღო სულიერი ნათელხილვის ძალა. ამ ნათელხილვის უნარით ის გაუერთიანდა სამყაროს შემოქმედს და მთელი კოსმოსის თანაზიარი გახდა. მან ეს ძალა შეიგნო და, შესაბამისად, მცენარეთა, ცხოველთა და ფრინველთა ენის მცოდნეც გახდა. მინდია მზიური გმირია და ამ დიდ სულიერ ენერგეტიკას ის ადამიანთა სასიკეთოდ წარმართავს. მართლაც საოცრადია ქართულ მხატვრულ წარმოსახვაში მინდია აღქმული და დახასიათებული: „ხოგაის მინდი კვდებოდა, მზე წითლდებოდა, ცხრებოდა, ცა ჭექდა, მიწა გრგვინავდა. სული გვიანა ჰხდებოდა, ჩამოდიოდა ვარსკვლავი. მთვარე უკუღმა დგებოდა... მალის ჭიუხის ნადირი სატირლად ემზადებოდა, ცხენი იმისი ტიალი ლურჯა ტოტზედა დგებოდა.“ სხვა რაღა უნდა გააკეთოს სამყარომ?! და მართლაც ვინ უნდა აატიროს ქართველი ადამიანი, თუ არა მინდიას და მინდიასნაირი კაცების კვდომამ. ქართველი კაცი, ზოგადად, მისი როლი და ფუნქცია მიწიერ ყოფაში გამოვლენილი ან მინდიაა, ან კიდევ მინდიას მოზარე. ცოდვილი სულის გაორება მაშინ იწყება, როდესაც სულიერი მზით გამთბარი და გაცისკროვნებული თვითნაბადი ბუნება ჩვენი მსხვერპლად უნდა შეეწიროს გარემო რეალობას. ეს მსხვერპლშეწირვა ორგვარია: ერთია, როდესაც ქართველი კაცი ვერ გულობს იძულებით თავსმოდებულ მარწუხებს და დგება არჩევანის წინაშე – ზნეობრივი კომპრომისი თუ ტარიგად წასვლა. კონსტანტინე გამსახურდიას ეს სიტყვები კი ერთგვარი შეუცვლელი კანონია ქართველი კაცისათვის: „ხამს მომაკვდავი მამულისთვის ცეცხლს ეზიაროს, ქართველო ერო! გარეწართა გროშზე გაგყიდეს! სჯობს მტრად მოსულმა ჩვენ ცხედრებზე გადაიაროს, ვიდრე სამშობლოს ვერაგულად თვალებს დასთხრიდეს“. ეს გახლავთ ჩვენი საერთო სულისკვეთება. ხოლო მეორეა, როდესაც გმირობის იძულის ჩამქრალია და წინააღმდეგობის უნარს მოკლებული ქართველი კაცი მტრის ფეხებთან იჩოქებს. აქ უკვე ქართველი თავად გარემო რეალობამ გადააქცია მსხვერპლად. გაორებული ცნობიერების მეორე მხარეა უკვე დაკნინებული და არარად გადაქცეული მსხვერპლი.

ამრიგად, თუ მინდიაობა ქართველი კაცის სულის ძახილია, მისი თვითარსობაა, სადაც საუკეთესოდ ვლინდება ჩვენი ეროვნული ბუნება და მიზანსწრაფვა, მის საპირისპიროდ მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნებში“ ამოვიკითხავთ ქართველი კაცის დაკნინებულ და დაცემულ მდგომარეობას. თეიმურაზ ხევისთავს მსხვერპლის შეწირვა აღარ შეუძლია. მისი სულის „სინატიფეს“ და „მზიურობას“ უნიათობა და უსუსურობა დაუფლებია. საკუთარი სიცოცხლე აყროლებულ ლეშად ჩამოკიდებია კისერზე, რომელიც გუდავს. აქტიური ცხოვრების ნაცვლად იგი თავად გადაქცეულა მსხვერპლად, იმ მწარე რეალობის მსხვერპლად, რომელიც მის სამშობლოს მოუვლინა ვერაგმა და ცბიერმა მტერმა. რას ვერჩით ჯაყოს, რომელმაც დრო იხელთა და საქართველოს დაეპატრონა.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ საქართველო წარმოადგენდა სულიერი ინსპირაციის მარად უწყვეტ წყაროს მზიური გმირებისათვის, მწერლებისათვის, მამულიშვილებისათვის. საქართველო მათ მიერ სიყვარულის ცეცხლით გზნებულია, რომელიც გადაქცეულია სულიერი შთაგონებისა და არსობის სახედ, იდეად. ექსტრემალური გარემო,

რომელიც ყოველთვის თანამდევნი იყო საქართველოს ცხოვრებისათვის და წარმართავდა ჩვენს რთულ ყოფას, ხმაღმემართულ გმირებად ბადებდა და ბრძოლის ცეცხლით მოსავდა ქართველ კაცს. თეიმურაზ ხევისთავს ფარ-ხმალი დაუყრია, ბრძოლის სურვილი გაჰქრობია. იგი ყოველგვარ განსაცდელს უაპელაციოდ იღებს. შეუდარებელი კი არა, გენიალურია პირდაპირ ამ პერსონაჟის შექმნისას მიხეილ ჯავახიშვილი. ჩვენ ხაზგასმით გვსურს იმის აღნიშვნა, რომ იგი ყველაზე რეალისტი მწერალია ქართულ აზროვნებაში. რაოდენ სამწუხაროდაც არ უნდა ჩანდეს ეს შავი ლაქა ჩვენს ყოფაში, ჩვენი მხრიდან ხმამაღლა ვიტყვი, რომ თეიმურაზ ხევისთავი, ისევე როგორც მინდია და სხვა მზიური გმირები, ჩვენი ეროვნული ბუნების მახასიათებლები არიან.

ამრიგად, თუ მინდია არქექტიპული მოდელია ქართველი კაცის ზეობის, თეიმურაზ ხევისთავი სიმბოლოა დამცრობილი ქართველი კაცის ბუნების, რომელიც დღევანდელი რეალობისგან კიდევ წახალისებულია და „პრივილეგირებულია“. მათ თავმოყვარეობის არანაირი გაგება არ აქვთ. თეიმურაზები ყველაფერს ეგუებიან და თავს გრძნობენ უდრტვინველად დღევანდელობაში. შესაბამისად, არ გააჩნიათ რეგენერაციის პერსპექტივა არც სულიერ და არც მიწიერ პლანში თავისთავად ერთი მიზეზით, რომ პიროვნული პასუხისმგებლობის გრძნობა ერისა და ქვეყნის წინაშე უბრალოდ წაშლილი აქვთ. თეიმურაზები ვერ ხვდებიან დანაშაულს. მათ არ სტანჯავთ გაორების ძალა. ამიტომაც ისინი კი არ კვდებიან სულისა და ხორცის ჭიდილში, არამედ იხრწებიან, ლპებიან და ეროვნულ ორგანიზმს დაშლისა და გადაგვარების საშიშროებით ემუქრებიან. მინდიას სულისკვეთებით შთაგონებული კაცი კი ყოველთვის ხედავს განსაცდელს და ეძიებს განსაცდელიდან გამოსავალს. დატყვევებული მინდია თავის მოკვლას გადაწყვეტს ბოლოს და ბოლოს. მას ტყვედ ყოფნას სიკვდილი ურჩევნია. ეს უკვე სხვა თემაა, რომ ის გადაურჩა განსაცდელს და ამ გადაწყვეტილებამ მას სულიერი ნათელხილვის უნარი შესძინა. ამით იმის თქმა გვსურს, რომ ამგვარი მიდგომით ქართველი კაცი ყოველთვის მებრძოლია. ის ან იბრძვის მონობისაგან თავის დასახსნელად, ან არ ნებდება და თავს იკლავს საპროტესტოდ, რადგანაც „ვაჟკაცს შერცხვენილ სიცოცხლეს სიკვდილი ურჩევნია“. აი, ეს მონობა არ ანადღელებს თეიმურაზს. და რაგორადაც სადავო არ უნდა გავხადოთ ეს თემა – არის თუ არა თეიმურაზ ხევისთავი ქართველი კაცის ბუნების გამოვლინება?! – ჩვენ პირადად ამ აზრზე შევჯერდებით, რომ დიახაც არის! რეზულტატიც სახეზე გვაქვს და კიდევ ერთხელ დავძენთ, რომ თუ ჩვენ მიერ ნახსენები ბუმბერაზი კლასიკოსები ქართული სიტყვითა და საქმით ქმნიდნენ მითოსისა და ლეგენდების ცოცხალი განცდების ისტორიებს და ამით აპურებდნენ ქართულ ცნობიერებას, მიხეილ ჯავახიშვილმა ყველაზე კარგად დაგვანახა ქართველი კაცის დაკნინებული, წამხდარი, ნაკაცარი ცნობიერება. ჩვენი აზრით, ის ყველაზე რეალისტი მწერალია და უდავოდაც ის არის დღევანდელი დღის უტყუარი მაცნე. სწორედ ამ მწარე რეალობიდან გამომდინარე გვსურს ერთი აქტუალური კითხვა დავსვათ: რამ გამოიწვია არქექტიპული მითოლოგიური მზიური გმირის მოდელის ასეთი დეგრადირებული მეტამორფოზა, რომელიც ქართულ სინამდვილეს და განსაკუთრებით დღევანდელ დღეს ყველაზე ზუსტად ახასიათებს?!

პასუხი ასეთი იქნება ჩვენი მხრიდან: რა თქმა უნდა, გარე ძალამ. მაგრამ რატომ ვერ შეძლო ქართველმა კაცმა ამ გარე ძალის მოგერიება? ჩანს, რომ თეიმურაზებს განათლება და შინაგანი სულიერი კულტურის წყობის უნარი არ აკლიათ, პირიქით, თეიმურაზი ყველაზე უფრო ნაკითხია და წიგნების მეგობარია.

აი, აქ გვსურს შევეხოთ ტარიელ ფუტკარაძის კვლევას „გამარჯვება „გლოვის დელეში“ ავტორმა ყურადღების კონცენტრაცია მოახდინა ერთ მეტად მნიშვნელოვან თემაზე – ეს გახლავთ რწმენის საკითხი, რელიგიური ცოდნის საკითხი ქართველთა ცნობიერებაში. ჩვენ ვიცით, რომ ქართველი ერის არსებობისა და გადარჩენის საიდუმლო სწორედ ქრისტიანულმა რელიგიურმა ცნობიერებამ განაპირობა. წმინდა იყო და დარჩება კიდევ ჩვენი ცხოვრების მარად უცვლელი იდეალი, რომელსაც ეწირებოდა მთელი ერი. ამ იდეის შეუცვლელი პრინციპის დაცვას ემსახურება ტარიელ ფუტკარაძის კვლევა, რომლის თემატური გააზრებისთვის მას ილია ჯავჭავაძის საყოველთაოდ ცნობილი პოემა „განდეგილი“ შეურჩევია. გაორებული კაცის ტრაგედიაა აქაც მოცემული. ამ სტატიის გაცნობამ აღმიძრა სწორედ ჩემი დღევანდელი ფიქრებიც გაორებულ საქართველოზე.

ილია ჯავჭავაძის „განდეგილის“ ირგვლივ დღიდან მისი დაწერისა აზრთა სხვადასხვაობას ვხვდებით. ტარიელ ფუტკარაძისეული ხედვა ცდილობს „არ დაამარცხოს“ განდეგილი. პირიქით, სურს, რომ განდეგილობამ გაიმარჯვოს, იხეიმოს სწორედ იმ გაგებით, რომ საქართველოში არ მოკვდეს და არ ჩანავლდეს ქრისტიანული რელიგიური ცხოვრება. მეცნიერის სურვილია აღორძინდეს და აინთოს სიწმინდის ცეცხლი დღევანდელი რელიგიის მსახურთა მიერ იმგვარად, როგორც ეს ახასიათებდა ილიას „განდეგილს“ – იმ გაგებით, რომ ცთუნებულ და გაორებულ გმირს გული უსკდება საბოლოოდ და ფიზიკურად ეწირება სულის ტრაგედიას. ამ სურვილში თავად ტარიელ ფუტკარაძის გულის ნადებია, მისი ცხოვრებისეული კრედაა გამოთქმული. „მიგიხვდი, ჩემო მოხევევ, რა ნესტრითა ხარ ნაჩხვლეტი!“ თუმცა აქვე უნდა დავძინო, რომ მე პირადად ვერ წარმომიდგენია ჩემი და ჩემი მეგობრების სათაყვანებელი ტარიელ ფუტკარაძე სადმე ბეთლემის მონასტერში, მიუვალ ჭიუხებში გამოკეტილი მლოცველი ბერი. მე ზუსტად ისეთი ტარიელ ფუტკარაძე ვიცი, როგორც მან იცხოვრა – ბობოქარი, სიკეთითა და სიყვარულით აღსავსე, მოყვასისთვის თავშეწირული და ბოლომდე სამსხვერპლო სურვილით აღვსილი საქართველოს გადასარჩენად. აკი აღვნიშნე, რომ ქართველი კაცი ან მინდიაა, ანდა მინდიას მოზარე. ტარიელ ფუტკარაძე მთელი ცხოვრების მანძილზე საქართველოსთვის შეწირული პრეზიდენტის ზარებს რეკავდა თეიმურაზებით სავსე საქართველოში. თავგანწირულად არისხებდა სიმართლეს ჩვენს სამშობლოში. ყველგან, სადაც კი მისწვდა, როგორც კი მისწვდა, მუდმივად ბრძოლაში იყო. ამიტომაც დაიქუხა მისმა სიკვდილმა და ატირდა საქართველო. მისი სული იქიდან დაგვცქერის, სადაც წიწამურსა და ჯიხაშკარში მოკლულთა სულები განისვენებენ. კვლავ აქტუალურია კითხვა: „ედირსებაო ლუხუმსა ლაშარის გორზე შადგომა?!“ რა იქნება ხვალ, როდესაც ბეთლემელი გმირები განგების გარდაუვალი ნებით ასე უმოწყალოდ გვტოვებენ?!..

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

გამსახურდია კ., ლექსი „ქართულ არტილერიას“. <https://www.aura.ge/316-leqsebi-samshobloze/6958-konstantine-gamsaxurdia--qartul-artilerias.html> დამოწმება: 12.08.2021.

გამსახურდია კ., ქართველობა და უცხოეთის გენია. <https://burusi.wordpress.com/2014/05/06/gamsakhurdia-4> დამოწმება: 12.08.2021.

რობაქიძე 1992: რობაქიძე გ., ბარათები ბადენის ტბიდან, საქართველო, როგორც იდეა-სახე. გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 14.02.1992.

ფუტკარაძე 2013: ფუტკარაძე ტ., გამარჯვება „გლოვის ღელეში“ (ილია ჭავჭავაძის „განდეგილის« ტექსტი და ქვეტექსტები). თბილისი, 2013. <https://vdocuments.site/-5572129d497959fc0b9098c8.html> დამოწმება: 10.07.2021.

ჭავჭავაძე ი., პოემა „განდეგილი“. <https://apkhadze.wordpress.com/tag/%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%90-%E1%83%AD%E1%83%90%E1%83%95%E1%83%AD%E1%83%90%E1%83%95%E1%83%90%E1%83%AB%E1%83%94-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98/> დამოწმება: 10.07.2021.

ხოგას მინდი, ხალხური ვერსია. <https://ka.wikipedia.org/i/%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%98%E1%83%90> დამოწმება: 10.07.2021.